№ 181 სექტემბერი 2, ოთხშაბათი 1887 სექტემბერი 2, ოთხშაბათი № 181


გაზეთი ღირს

| თუვე | მან. კ. | თუვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 5 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდღევლის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი   სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი   1877—1887 წელიწადი


ტფილისი, 1 სექტემბერი

დღეს განათლებულ საზოგადოებას ყველგან დაუდგა თეატრის სეზონი. რუსულმა ოპერამ აღარც-კი დაიცადა სექტემბრის დაწყობას, აგვისტოს 30-დამვე მიჰყო ხელი თავის საქმეს. გუშინა და გუშინ-წინ რუსული თეატრი სავსე იყო მსმენელებით. ტფილისის ქართული საზოგადოება-კი მოკლებულია საკუთარს თეატრს ჯერ-ჯერობით. ამისი უმთავრესი მიზეზი, რასაკვირველია, ის არის, რომ თეატრის შენობის გადაკეთებას შეუდგნენ და ჯერ არ გაუთავებიათ. მაგრამ იმედი მაინცა გვაქვს, რომ ორი თვის შემდეგ თეატრის შენობა სრულებით მოწყობილი და გამზადებული იქმნება. თან ისიც ვიცით, რომ სიმშვენიერითა და სილამაზით გადაკეთებული შენობა გაცილებით უკეთესი იქმნება უწინდელზე. მეტადრე მისი შინაგანი მორთულობა მიმზიდველი და სასიამოვნო იქმნება.

მხოლოდ ეს არის საფიქრებელი, რომ ჩვენი დრამატიული საზოგადოება როგორღაც გაჩუმებულია და არავითარ სამზადისზე ხმას არ იღებს მაშინ, როდესაც მაგრე რიგად ბევრი დროება აღარ დაგვრჩენია წინა, და დღეს დრამატიული საზოგადოება გულმოდგინედ უნდა ირჯებოდეს თავის საქმეების წესიერად დაყენებისათვის.

ზაფხულში რაღაც ლაპარაკი იყო, რომ უნდა დავიწყოთ დრამატიულ დასის შედგენა და მოვიწვიოთ საუკეთესო მოთამაშენიო, მაგრამ დღემდის არავინ იცის, შესდგა დასი თუ არა, და თუ შესდგა, ვინ იქმნენ მოწვეულნი და ვინ არა. ჩვენის თეატრის ბედი-კი უმთავრესად იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რომელი მოთამაშე ეყოლება თავის დასში დრამატიულ საზოგადოებას და რომელი არა. ამ მხრით დიდი სიფრთხილე ჰმართებს ხსენებულ საზოგადოებას და ამიტომ წინადვე უნდა დაიჭიროს თავდარიგი, თორემ რაკი წარმოდგენები გაიმართება და თეატრი დაიწყობა, გვიანღა იქნება შეცდომათა გასწორება, მით უმეტესს, რომ სეზონიდამ სული რამდენიმე თვეღა დაჰრჩება თეატრის მოქმედებისა.

წარმოდგენათა გამართვის საქმეებში არა ნაკლები ადგილი უჭირავს პიესების არჩევას და საზოგადოდ შესაფერის რეპერტუარის მოპოვებას. ამ მხრითაც არა ვიცით-რა, სულ უწინდელ რეპერტუარზე ექმნება დრამატიულს საზოგადოებას აშენებული მომავალის სეზონის წარმოდგენები, თუ ახალ-ახალის პიესებით გაგვართობს და გაგვატარებინებს გონივრულად დროს. აქაც დიდი სამზადისია საჭირო, და ქართველს საზოგადოებას-კი ჯერ არა შეუტყვია-რა ამის თაობაზე.

ერთის სიტყვით, ძალიან კარგს იზამდა ქართული დრამატიული საზოგადოება, რომ რაც შეიძლება მალე შესდგომოდა თავის პირდაპირ საქმეს, და, თუ უკვე შესდგომია ამას და გაუკეთებია კიდეც რამ, უფრო კარგს იზამდა ეცნობებინა ტფილელთათვის ყოველი თვალ-საჩინო შედეგი თვისის მოღვაწეობისა და აგრეთვე განზრახულობისა.

ამ შემთხვევაში ქუთაისის ქართველობა ტფილისისაზე გაცილებით უკეთესს მდგომარეობაში არის. იმან უკვე იცის, რომ იქაურის თეატრის მოთავე და ხელმძღვანელი, ნიჭიერი არტისტი ბ-ნი გოტე მესხი წელსაც თავდარიგს იჭერს წარმოდგენების დასაწყებად. იცის, ვინა და ვინ იქნებიან მოწვეულნი არტისტებად. აგრეთვე შეტყობილი აქვს, უმთავრესად რა ხასიათი ექმნება წარმოდგენებს, და შესანიშნავ პიესებთაგან რომელი და რომელი იქმნება წარმოდგენილი ქუთაისის სცენაზე.

ჩვენ-კი, როგორც ზევითა ვსთქვით, ამაებისა არაფერი არა ვიცით-რა და ძალიანაც გვენატრება, რომ შეძლებისამებრ მალე დააკმაყოფილოს დრამატიულმა საზოგადოებამ ტფილელ ქართველობის ცნობის-მოყვარეობა, მით უმეტესს, რომ ეს მარტო უადგილო ცნობის-მოყვარეობა არ არის.

თ—ძე

## ახალი ამბავი

*** სოფლებში საზოგადოდ სახელმწიფო ხარჯის გასანაწილებლად გლეხები ამოირჩევენ ხოლმე თავიანთ შორის რამდენსამე კაცს, რომელთაც „პატიოსან“ კაცებს ეძახიან. აი ეს პატიოსანი კაცები არიან ვალდებულნი, რომ სოფლის მცხოვრებელთა შეძლების კვალობაზედ გაანაწილონ სახელმწიფო გადასახადი, არავინ მოიმდურონ, ღარიბი არ დაჩაგრონ და მდიდარი არ მოიმადლიერონ. მაგრამ ხშირად ეს „პატიოსანნი“ თავიანთის უფლებით სარგებლობენ და რადგან ღარიბი ყველგან ბეჩავია და დაბალი ღობე, ამ დაბალს ღობეს გადაახტებიან ხოლმე. აი ერთი ამისთანა საქციელის ამბავი გადმოგვცეს ეხლა-ხან. სიღნაღის მაზრის სოფელ ყანდაურშიაც ჩვეულებრივად ამოურჩევიათ „პატიოსანი“ კაცები და მიუნდვიათ ხარჯის განაწილება მცხოვრებელთა შორის. თუ ეს „პატიოსანნი“ როგორის სიპატიოსნით მოჰქცევიან მათდამი მინდობილს საქმეს, ამას შემდეგი ამბავი გვიმტკიცებს. ტფილისში სცხოვრებს ერთი მზარეული, სახელად მალხაზა გიგოშვილი. ეს მალხაზა დაცოლიანებული კაცია, ხუთის წვრილ-შვილის პატრონი, და, რა თქმა უნდა, წელში წყდება, რომ როგორმე გაუძღვეს თავის ოჯახს. მალხაზა ყმაწვილობისას წამოსულა ტფილისში ყანდაურიდგან, თავი მიუნებებია თავის მამულ-დედულისათვის, დამდგარა ტფილისში შეგირდად მზარეულთან, აქ უცხოვრია, აქ დაცოლ-შვილებულა და აგერ თითქმის ორმოცის წლისა იქნება ეხლა და ჯერ თავის სოფლის პირი არ უნახავს. და აი, ამ შესაბრალისის კაცისათვის სოფელს ხუთ თუმნამდე ფული შეუწერია, თუმცა არც სოფლის მინდვრით, არც წყლით, არც ნახირით, ერთის სიტყვით, არაფრით არა სარგებლობს. ახლა დასდგომიან ამ კაცს თავზე დოგა-დოგა, გინდა თუ არა სოფელს სახელმწიფო ხარჯში უნდა მიუდგე და ხუთი თუმანი გადაიხადო შენ წილადაო. უეჭველია, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევენ და გამოიძიებენ, თუ ერთს კაცს როგორ შეხვდა ამდენი გადასახადი თავის წილობაზე.

*** 30 და 31 აგვისტოს რკინიგზის მატარებელში ვაგონები ისე იყო გაჭედილი ხალხითა, რომ კონდუქტორები ვერც-კი ახერხებდნენ ერთის ვაგონიდამ მეორეში გადასვლას. მგზავრნი საშინლად შეაწუხა ამ უადგილო სივიწროემ, ასე რომ ზოგმა მათგანმა არჩია ისევ გზაში დარჩომა, ვიდრე მგზავრობის გაგრძელება. ბევრნი ჩამოხდნენ კასპში მეორე მატარებლის მოსვლამდის, თუმცა ბილეთები ტფილისამდისა ჰქონდათ აღებული. საკვირველია, ამ რკინი-გზის საქმე: გასჭედავს ხოლმე ვაგონებს ხალხით, თითქო უსიტყვო ცხვრები არიანო, და იმაზედ კი სრულებით არა ჰფიქრობს, რომ მგზავრს ფული მიუცია და უფლება აქვს მოსთხოვოს შეუვიწროებელი მოგზაურობა ვაგონით.

*** რუსულმა საოპერო დასმა წარმოადგინა „Демонъ“-ი. ეს ოპერა ბევრს ქართველს ენახვება და კიდევაც ეცოდინება, რომ მომღერალნი—ქალი და კაცი სულ ქართულად არიან ჩაცმულნი, გარდა დემონის როლის აღმსრულებელისა. რუსულ მსმენელებისა-კი რა მოგახსენოთ, მაგრამ ქართველები-კი ძალიან უკმაყოფილონი დარჩნენ ამ ოპერით და საბუთიცა

---

## ფელეტონი

### გოგოთური და აფშინა

(ძველი ამბავი)

ამბობენ: ბლოელ[1]) აფშინა,
მინდოდაურის გვარისა,
სცარცვავს რჯულიან-ურჯულოს,
მარჯვედ მომხმარე ფარისა,
ჭერხო აავსო უნჯითა,
როგორც სალარო ხანისა.
თანაც იტყვიან: გოგოთურს
ჯანით ვერ შაედრებაო,
ნეკით გასტყვარცნის, აფშინა
ხე და ქვათ შაეცხებაო.
მეფესაც უთქვამ: „გოგოთურ
ათასს კაცთანო ვადარე,
ათასგანა მყავს ნაცადი,
ათასგან ომში ვატარე;
გოგოთურს რკინის გული აქვ,
ჯანი ხო გადამეტია,
რამდენჯერ მარტომ შაბერტყის
მტერი ქვიშაზედ მეტია.
ომში სიკვდილს ჰგავ გოგოთურ,
შეუბრალები, უკვდავი,
მტერსაც ზარსა სცემს უზომოს,
როგორაც სულთა მხუთავი...
ისე აგორებს მტრის რაზმებს,
როგორც ნავს ტალღთა დენანი,
ალბათ სწყალობენ ვაჟკაცსა
ის ანგელოზნი ზენანი!“
რამდენჯერ სთხოვა ბატონმა
დარჩომა მეფის კარადა,
მაგრამ ვაჟკაცი ეტყოდა:
—მეფევ, ვერ გავსძლებ ბარადა.
თუ მთის ნიავი არა მცემს,
გული ქალებურ ტირისა,
არ მინდა პური, არც წყალი,
აღარც გაღება პირისა;
მამეხიბლება გუნება,
ვერა ვარ გამძლე ჭირისა.
გოგოთურ ამაზედა სწუხს,
ხმა აღარ ისმის ომისა,
მიწურვილია, თავდება
ჟამი ზაფხულის ორისა.
შინაც ხომ უქმად არ არი,
მუშაობს, მიწის მხვნელია,—
ამბობს: „ომის დროს ვიომოთ,
არა-და, ვიქნიოთ ცელია,
ნადავლით, ნაყაჩაღარით
კაცის დარჩომა ძნელია!“
არავის ახსომს ფშავშია
ხმა-მაღლა ასძრახდომოდეს,
განაღამც საცარცვავადა
გზად ვისმე გადასდგომოდეს.
ვეება ჰანდარს აიღებს,
წიწკრად გაიდებს მხარზედა,
ყალიონს პირით არ უშვებს,
მიიტანს თავის კარზედა,
ირმებსაც დაედევნება
ყოფჩის გადაღმა კვალზედა.
შემოღამდება, შინ მოდის,
ჩამაუჯდება კერასა,
დაიწყებს შესაქცევრადა
დიდის ყალივნის წევასა,
ფანდურსაც შააქღარუნებს,
თითს ააჩქამებს ბერასა.
ხანდახან დაიბუბუნებს,
ჰერი დაიწყებს ნძრევასა,
თან ფეხს დაუცემს ვაჟკაცი,
მიდამო იწყებს ნთქრევასა.

II

ძველადგაწევა ნათქომი,
რო დედაკაცი ყბედია,
მიჰყვება გულის ძრახვასა—
ვნებიანობით რეტია,
წაიტყვის უგვანს სიტყვასა
მოუფიქრელი, ცეტია.
ქმრისად სახელის მძებნელი
სხვას არ დაგიდევს არასა;
მტყუანი იყოს მის ქმარი,
თუნდ ხალხს სცარცვიდეს შარასა,
ოღონდ იქნევდეს ფრანგულსა,
არ ჰღალატობდეს ხარასა[2]),
ცოლსაც სწყალობდეს, აცმევდეს
წითლის დარაის კაბასა.
ცოლი აუტყდა გოგოთურს:
— რად გინდა დიდი სხეული,
თუ-კი ზღუბლს არ გასცილდები,
როგორც სახადით სნეული?!
რად გინდა თოფ-იარაღი,
ბასრი ფრანგული, წყეული,
ათასგან სისხში ნათრევი,
კაცების ჟლეტას ჩვეული?!
აბა დაჰკვლიე, უტირნავ,
ცრემლი აქვ პირზე მცვრეული!
წადი შენც ვინმე გაცარცვე,
არ გინდა სარჩო ნეტარა?
ქისტებს თავები გაჰბალთე,
ხევსურთ დაადევ ბეგარა.
ამბობენ აფშინაის ცხენს
ტანი სრულ ვერცხლით ეფარა.
— ნეტავ რას ამბობ, დიაცო,
ჭკვას რად არ ატან სიტყვასა,
საქმე თუ გამოგლევია,
რატუ არ იტყვი იმასა?!
რად მინდა მაშინ სიცოცხლე,
ლუკმასა ვსჭამდე სხვისასა...
შენ ვინა გკითხავს, უჯიშოვ,
თოფისასა და ხმლისასა,
შენ უნდა საჩეჩელს ეჯდე
ან არა,—ჰქსოვდე წინდასა.
ხმლის ქნევას მადლი მაშინ აქვ,
როცა ხმალს ჰხედავ მტრისასა!
ჯერ მეფის სიტყვა არა სჩანს,—
„შემოგვესია მტერიო,
ფშავით მოიდეს ლაშქარი,
ჩემი ერთგული ერიო,
წინ გამაუძღვეს გოგოთურ,
ჯერ აროთ არი ბერიო“,
მითც არ მოჰსვლია ჩემს ხმალსა
სისხლით შეღების ჯერიო.
ჩემი ფრანგული მტერსა ჰკლავს,
ძმაზედ არა აქვ ხელიო.
უწინ შინ როდის დავმდგარვარ,
როსც დაგვცემია თათარი,
მტერს წინ მე მივგებებივარ,
როგორაც ჯერნებს აფთარი.
ომში რვა ხმალი გავცვითე,
მეცხრე თეთრ-ტარა ხანჯარი...
თუ-კი ავ-სული არა ხარ,
ეგ საყვედური რა არი!?
— მე იმას ვამბობ, ბეჩავო,
სახლისადა ხარ ურგები,
რა სარჩოდ გამოგადგება
თათრების დაჭრილ ზურგები?
ლაშქრობით რა მოგიტანავ
ტანზე წყლულების მეტია,
მარტო სახელი რას გიზამს,
თუ სარჩოც არა ჰხვეტია?!
დალონდა მეტად გოგოთურ,
ხმალს მიაწვადა ხელია;
ლაფნის[3]) საბმურით შაიბა,
მაგრა შაიკრა წელია,

[1]) ბლო სოფელია ხევსურეთში.

[2]) თოფია

[3]) ლაფანი—ცაცხვის ან თელის ქერქის შიდა-პირი.

ჰქონდათ. არამც თუ მიხვრა-მოხვრაში, არამედ ტანთ-საცმელშიაც-კი ძალიან ნაკლები იყო ქართული. ეს ნაკლულევანება ყველაზედ მომეტებულად აღბეჭდილი იყო ქ-ნ სტეფანიზე, რომელიც თამარის როლსა თამაშობდა. თამარი, თავად გუდალის ქალი, რომელსაც გაუგიჟებია ქართველი თავადი, ყმაწვილი სინოდალი, უნდა ყველაზედ უფრო ძრიელა ჰგვანებოდა ქართველს ქალს როგორც ტანთ-საცმლით, ისე და უფრო მეტადაც მიხრა-მოხრით. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ არც ერთში და არც მეორეში ქართული არა ჰქონდა-რა ქ-ნ სტეფანის, გარდა ჩიხტი-კოპისა, რომელიც გვერდზე და ულაზათოდ ედგა თავზედ. აბა როგორი ქართულად ჩაცმული ქალი უნდა იყოს, ვისაც მკლავები გატიტვლებული აქვს სწორედ იღლიებამდის და ჰფართხავს ამ მკლავებს თითქმის ყოველ სიტყვის თქმაზედ! ერთის სიტყვით, „Демонъ"-ი გუშინ იმაზედაც-კი ნაკლებ ჰგვანდა ქართულს სურათს, ვიდრე თვით პეტერბურგში, სადაც ქართველებზე თითქმის არავითარი წარმოდგენა არა აქვს უმეტესობას.

მეტადრე სასაცილო იყო ჩვენთვის ლეკური იმ მუსიკაზე, რომელიც „Демонъ"-შია. სცენაზე გამოითამაშეს მშვენიერ მოლეკურეთ, ქალმა და ვაჟმა, მაგრამ არც ერთი მოლეკურე არ ისურვებს იმ ყოფაში ჩავარდნას, რომელშიაც ის ქალი და ვაჟი ჩაცვივდნენ. მუსიკაში ლეკურისა არა იყო-რა, და გინდა თუ არა ლეკური ტაქტი გამოიყვანე! გვიკვირს, კიდევ როგორ მოახერხეს თამაშობა, როცა ტაშიც-კი არა ჰქონდათ. უფრო მაშინ შეგვეცოდნენ მოლეკურენი, როდესაც მეორედ გამოიწვიეს სათამაშოდ და კიდევაც ძალა-უნებურად ათამაშეს. აბა ტფილისშიაც რომ ვერ მოუხერხებიათ ლეკურის მუსიკა, მოდით, როგორ უნდა დაუკრან სხვაგან, სადაც არც-კი გაუგონიათ ლეკურის სახელი!..

*** მარიამობისთვის 25-ს ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა გომბორზედ ბანაკში. წინა დღეს ცოლმა მოიწამლა თავი და მეორე დღეს კიდევ ქმარმა მოიკლა თავი. აი საქმე როგორ ყოფილა. ქმარი თურმე ძრიელ ლოთობდა; ცოლი თუმცა ბევრს უშლიდა ხოლმე, მაგრამ ვერაფერი შეასმინა. ერთხელ, როცა ქმარი დამთვრალი მოვიდა სახლში, ცოლმა დაუწყო ჩხუბი. ქმარმა თურმე სცემა; ცოლმა ვერ მოითმინა, გაჯავრებულ-გაბრაზებულმა გოგირდის წუმწუმით მოიწამლა თავი და განუტევა სული. როცა ქმარი გამოფხიზლდა, ძრიელ ინანა. მერე გაჯავრებულმა თითონაც აიღო დამბაჩა და თავი მოიკლა.

*** ქართლიდამ გვწერენ: აგერ ეს ერთი თთვეა, რაც ქვენა ქარი ჰქრის და საშინელი სიცხეებია; გოლვაა გასაოცარი, ბალახი გახმა, პაწია მდინარეები ლამის დაშრეს; მაგრამ მეორე მხრივ რომ ავიღოთ, ეს გვალვა აგრე რიგად მაზარალებელი არ იყო ხალხისათვის: ყანა გვიან შემოვიდა და თუ ეს სიცხეები არ დაეჭირა, ბევრს დარჩებოდა სალეწი; ეხლა-კი თითქმის ყველანი მორჩნენ. ხალხის სისაღეა, მხოლოდ ზოგიერთ ალაგას საქონელს ხუზარა გაუჩნდა. ეს სენი ძალიან საშიშია, ადამიანზედაც გადადის, თუ ნახუზარალის ხორცსა სჭამენ. ამიტომ ხალხს გაფრთხილება ჰმართებს, რომ ავადმყოფის საქონლის ხორცი არ სჭამონ.

*** იქიდამვე: თითქმის ყველგან ქართლში ვენახებს ნაცარი შეაყარა; მტევანი სიმწიფეში შედის და თანა სკდება და შავდება. ნაცარს გადაურჩა ზოგიერთი სოფლები: მეჯვრის-ხევი, ატენი და სხვა. ხიდის-თავი, რომელსაც „პატარა კახეთს" ეძახიან, წელს ძრიელ დაზარალდა როგორც ნაცრისაგან, ისე სეტყვისაგანაც. ნაცარის გარდა ვენახებს რაღაც სხვა სენიც გაუჩნდა: მტევანზე მარცვლები ხმება ნელ-ნელა, შემოივლის მთელს მტევანს და მერე თვით მტევანიც ჩამოვარდება. ეს სენი შევნიშნე ბევრს სოფლებში ვაზებზე. ძალიან კარგი იქნება, რომ სამეურნეო საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს. ქართლის ვენახებში თითქმის ყველგან არის ეს სენი მოდებული.

*** გორიდამ: იმ განკარგულებას შემდეგ, რომლის ძალითაც კლასიკურ გიმნაზიებთან მოსამზადელი კლასები მოისპო, სასულიერო სასწავლებლებში ძალიან ბლომად მოჰყავთ ერის კაცებს შვილები. გორის სასულიერო სასწავლებელში რამდენიმე მოიყვანეს იმისთანა ბავშვები, რომლებსაც გიმნაზიის მოსამზადებელ კლასისათვის ამზადებდნენ თურმე. სასულიერო სასწავლებლიდამ მეორე გიმნაზიაშივე გადიყვანენ.

*** 31-ს აგვისტოს, თორმეტის ნახევარზედ, ქ. გორის მცხოვრების კრიხელის ყმაწვილი, მიხეილი, ოთხის წლისა, რომელიც სცხოვრებდა მეხუთე განყოფილებაში, ანისიმოვის ქუჩაზე, ისარლოვის სახლში, აივანზე თამაშობდა და გაუფრთხილებლობის გამო გადავარდა ეზოში და თავი გაიტეხა. ყმაწვილის შესაწევრად მოწოდებულ იქმნა ექიმი კიუჩარიანცი.

## საზოგადო მოღვაწეთა საყურადღებოდ.

ღმერთს ვრწმუნეთ, რომ ჩვენისთანა აზარებული ხალხი არ გიცი, თუ საქმე იყოს! აბა რომელ საქმეზე მიმითითებთ, იგი ისე გვქონდეს მოწყობილი, დალაგებული, რომ ჩვენს საზოგადო კეთილ-დღეობას და მეცნიერებას ემსახურებოდეს. ავიჩემებთ თითო რამეს, გავაბამთ ლაპარაკს, დავადგებით კიდეც საქმეს, მაგრამ ბოლოს-კი არ მივადევნებთ. აიღეთ, თუ გინდათ სასოფლო სკოლა. თუ თვალი გიდევნებიათ ჩვენის მწერლობის პროვინციელ მოამბეთა ნაწერებისათვის, შენიშნავდით, რომ იგინი ისეთს არას მოიწერებიან ჩვენის ქვეყნის განაპირა ადგილებიდგან, რომ სკოლა არ ახსენონ. მერე რა ნაირად?—თუ სოფელს სკოლა დაუარსებია, გათავდა: ქებ-დიდების მეტი აღარა ითქმის-რა იმ სოფელზედ, ის სოფელი დადგომია განვითარების გზას, და იმის ბედს მადლი არ დაჰკლებია. თუ რომელსამე სოფელს არ გაუმართნია სკოლა, ვაი ამ სოფელს: ქოქით იღებენ! სკოლა და სკოლა, სკოლა საჭიროა, ბანკი საჭიროა, დეპო სამ ცხონებაა. ბატონო, ყველა საქმეს თავისი თაბაუთი აქვს. საქმეს უნდა სარისტა, თავდარიგი, ცოდნა, გამოცდილება. არა მარტო პროვინციელი მოამბენი, თითქმის მომეტებული ნაწილი ჩვენის ინტელლიგენციისა ამავე აყინებულის აზრისაა. ჩვენ გვგონია, რომ დღევანდელი ჩვენებური სასოფლო სკოლა ჯერ კიდევ იმ ხარისხზედ არა სდგას, როცა იგი ზეციურ მანანად, გაჭირების ტალკვესად უნდა ჩაითვალოს. ნუ გვეგონება, რომ თუ სასოფლო სკოლები გამრავლდა ჩვენში, გათავდა: ხალხი განვითარდება, გამოფხიზლდება, წელში გაიმართება! რა არის სკოლა სოფლისა?

სასოფლო სკოლა ისეთი დაწესებულებაა, სადაც მასწავლებელმა მოზარდ ყმაწვილს იმდენად უნდა ასწავლოს, იმდენად უნდა შეაყვაროს ცოდნა, გაუხსნას მადა ყველაფრის გაგებისა, აუხილოს თვალი, რომ ეს ბავშვი სკოლიდგან წასვლის შემდეგ ეტანებოდეს წიგნს, სწავლას, ცოდნას. აი სასოფლო სკოლის საქმე. სასოფლო სკოლას მეტი არა მოეთხოვება-რა. სკოლა აბარებს თვის მოწაფეს უდიდესს სკოლას—ცხოვრებას. ხოლო თუ ცხოვრება ისეთია, რომ სკოლის საქმეს ვერ განაგრძობს, თვალ-ახდილს ყმაწვილს ხედვას და სმენას ვერ უვარჯიშებს, მაშინ სკოლაც უქმია და უსარგებლო. სკოლას უნდა მიეშველოს საზოგადოება, სოფლის ხალხს უნდა ეშველებოდეს ცხოვრება. სადაც სკოლა ათავებს საქმეს, იქ იწყობს საზოგადოება.

წარმოიდგინეთ, რომ სოფლის შვილმა დაამთავრა სწავლა სასოფლო სკოლაში. მერე? ვინ არის იმის ხელ-მძღვანელი, რითი უნდა იხელმძღვანელოს, რომ შეუდგეს უდიდესს საქმეს თვითგანვითარებისას?—ჩვენში ყმაწვილს ამ შემთხვევაში პატრონი არა ჰყავს. დარჩა ყმაწვილი შარა გზაზე, დაუჯდა ურემსა, აიღო ხელში შოლტი და შემდეგ რამდენსამე წლისა ისევ ის უსწავლელი ნიკა იქნება, როგორიც წინად იყო: წიგნის კითხვასაც ვეღარ ახერხებს. ეს ისეთი თვალ-საჩინო მოვლენაა, იმდენად საყურადღებო და საგულის-ხმიერო, რომ ამ გარემოებას ძრიელ უნდა ჩავუფიქრდეთ. რუსეთის საპედაგოგიო ლიტერატურამ ამ მოვლენას საკუთარი სახელი დაარქვა, რეციდივიზმი, ყოველის მხრივ შეისწავლა და გამოიკვლია. სახელოვანმა რუსეთის მოღვაწემ, პედაგოგმა ბარონ კორფმა ამ მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად შემოიღო ესრედ-წოდებული განმეორებითი სკოლები, სადაც სასოფლო სკოლებში სწავლა დასრულებულს ბავშვებს ამეორებინებდნენ იმ საგნებს, რომელიც ესწავლათ სასოფლო სკოლებში. ბერძაინელმა ერობამაც ხელი შეუწყო კორფს. ამ ღონისა და წამლის სიკეთესა და სიავეზე სიტყვას არ გავაჭიანურებთ ამ ჟამად, რადგან ალაგი ნებას არ გვაძლევს. მხოლოდ იმას-კი აღვნიშნავთ, რომ ამ ღონემა და წამალმა საკმაო ნაყოფი მოიტანა; ხალხს გაუღვიძა სურვილი წიგნების კითხვისა ისე, რომ წიგნებს მუსუსად ეძებოდნენ ამას შემდეგ.

ზოგიერთმა მწერლებმა კორფის ღონე არ შეიწყნარეს. ბევრ ნაირად უხერხულია ეგ ღონეო, სთქვეს იმათ და ურჩევენ საზოგადოებასა და ერობას სასოფლო სკოლებთან დააარსონ პატარა წიგნთ-საცავები. ამ წიგნთ-საცავებში უნდა იყოს რუსეთის საუკეთესო მწერლების ნაწერები. კვირაობით მასწავლებელმა უნდა უკითხოს ხალხს ეს წიგნებიო. აბა იგემოს ხალხმა, რა კარგა ყოფილა საუკეთესო მწერალთა ნაწერები და მაშინ ნახავთ, თუ წურბელასავით არ მოეკიდოსო.

ჩვენში ქართული წიგნები არა ვრცელდებაო, არ იყიდებაო, ამბობენ. გააგებინეთ ხალხს, გემო აჩვენეთ ჩვენის მწერლების ნაწერებისა, მადა აღებინეთ კარგს ნაწერებზე და მაშინ ნახეთ, თუ არ გაიყიდება წიგნები. წინადაც მითქვამს და ეხლაც ვამბობ, რომ ერთი მუჭა ინტელიგენცია კი არ არის საქმე, საქმე ის ხალხია, რომელიც სოფლადაა. მოღვაწეთა მოქმედების ასპარეზი აქ უნდა იყოს, მათი ყურადღება აქეთ უნდა იყოს მიპყრობილი. იმას მაინც მივხედოთ, რომ რუსეთში ასე მხნედა და მედგრად ებრძვიან იმ გარემოებას, რომელსაც რეციდივიზმი ვუწოდეთ ზემოდ, იმ გარემოებას, რომ

---

მარცხნისას ფარი გადიგდო,
მარჯვენით—სიათა ჭრელიო,—
უზარ-მაზარი ძელსა ჰგავ,
კაცის საზიდად ძნელიო.
დედაკაცს დაათათბირებს:
—უნდა მიმოველო ხმელიო,
რასაც შენა მთხოვ იმისა
წაველ, ვიქნები მქნელიო.
მოყვრებში გამაემართა
ამის დაცინვით მთქმელიო.

III

გაზაფხულ იყო მაშინა,
ახლად ყოდენ იანი,
მწვანის ქათიბით კოხტაობს
მთების კალთები ტყიანი,
ბექ-ბუქში თოვლი დამდნარა,
მიწა გამხდარა წვნიანი,
მწვანეს ეწვდება ფოთოლსა
ხარი ირემი რქიანი.
გალაღებულან ფრინველნი,
ისედაც ლაღი-ზნიანნი;
არაგვიც მოჰქუხს მრისხანედ
ამ დროს შავ-ფერად მდინარე,
აღვიძებს, იფშვნეტს თვალებსა
მის არე-მარე მძინარე.
კლდეებიც წყალსა ჰქონავენ,
სრულად დამდნარა მყინვარე...
კოპალის ქვასთან გამოჩნდა
კაცი მთასავით მძვინვარე,
მაიზლაზნება ზოვივით,
პირ-ქუში, არა-მცინარე.

ზენაით მეორე მოჩანს,
იმღერის, მთანი ხვივიან,
მააქევქევებს ლურჯასა,
ნალნი რიყეზე წივიან;
მაეზაყება ცხენზედა
გამარჯვებასა ჩვეული,
უხდება წითელს ჩოხაზე
ფარი და დაშნა რწეული.
გოგოთურს ჰხედავს აფშინა,
გულშიაც ჩაეცინება,
ზედ მიჰვარდება ცხენ და ცხენ,
უდიერად შაიგინება.
აფშინას ბაწარაულის[4])
შუქი შორს გაიფინება.
—იარაღნ მამცენ, ფშაველო,
რად გი,[5]) არ ილი ხმარება;
პირ-და-პირია აფშინა,
ვაჟკაცს არ უყვარს პარება.
რა გაკვირვებით მიყურებ,
აფშინას მეძახიანო!?
ჰა, თორო შავთხოვ ფრანგულსა,
ხმალო, გამიჭერ ფხიანო!
გოგოთურ ფიქრობს: ვაჩვენო
აცა აფშინას საწყლადა;
ვეხვეწო, თავი ვიდაბლო,
ამის რას მიზამს ნაცვლადა.
აქებენ შამიბრალებსა, !
თუ გადამაქცევს ნაცრადა.

[4]) ხმალია
[5]) შემოკლებული „გინდა".

—რადა ძმობილო, რად აგრე,
გან დიაცი ვარ ორსული,
დედამ გამზარდა მენაცა,
ნეხვჩი არა ვარ მოსული!
თუ მართლა აფშინაი ხარ,
იარაღთ რად მყრი, ძმისაო,
უიარაღო გამიშვა,
ხათრი არა გაქვ ღვთისაო!
მიწაზე როგორ ვიარო,
მზე როგორ ვსინჯო ცისაო;
ჯალაფნი არ მეტყვიანა:
„ჰაი, შე ტყლაპო მტრისაო"?!
სუ, თუ ღმერთი გწამ, აფშინავ,
სირცხვილს ნუ მაჭმევ, ძმობასა,
ქუდ-მოხდილს ქვეყნად ნუ მავლევ,
პირში ნუ მიმცემ გმობასა.
კაცი ხარ სახელიანი,
რად მიწევ ეგრე მტრობასა?
ოღონც იარაღთ ნუ ამყრი,
რა ვქნა, გაგიწევ ყმობასა.
—ნუ მაგვიანებ, ფშაველო,
ჩქარა შაიხსენ ხმალია,
სიათაც გადმამაწვადე,
კარგი ექნება ძალია;
ერთი კვირაა, შენს მეტსა
ვერავის დავკარ თვალია.
ჩქარა მაიხვენ აბჯარნი,
არა-დ გალოკებ ქვიშათა,
მიგცემ გათრიონ ყუნწივით
ტალღთა არაგვის წყლისათა.
მისცა ხმალი და სიათა,

ფარი ნაჭრევით ფარული,
ცხენის აღვირსაც უსწორდა
მოყმე დისწული ყვარული.
აფშინამ ლურჯას დეზი ჰკრა,
იგიც გაფრენას ლამობდა;
გოგოთურს თმენა გაუწყდა,
გამოცხადებით ჯავრობდა:
—მაშ მიგქონ ჩემნ იარაღნი,
კიდევ არ შაირცხვინია?
დადეგ, შე უნამუსოვო,
ქვაზედ გინაყო ტვინია!
გაწყრა, გაჯავრდა გოგოთურ,
გულში აეძრა ქინია;
ხელი გაავლო აფშინას,
დადვა, დაბეგვა ძალიან;
გადაფითრებულს აფშინას,
სატირლად აღარ სცალიან.
მაგრა შაკონა ბეჩავი,
ისე დააგდო გზაზედა.
ჩაეუბნება ჭკვიანად:
—შენ გაგერშილხარ სხვაზედა,
გინდოდა გოგოთურსაცა
წამასჯდომიყავ თავზედა?
შენ რო ჭკვიანად მოგექე,
გვედრე, არ შამიბრალია,
ეხლა მე მერტყას წელზედა
შენი ზიკ-ზიკა ხმალია;
ცხენიც მე მყვანდეს ლურჯაი,
თანაც ეს შენი ფარია;
ჩაჩქანი, რკინის პერანგი
შენზედ არამი არია.

—რა ვქნა,—ამოთქვა აფშინამ
წვერ-მოტეხილის ენითა,
თან დნება ლურჯად, შავადა,
გულში ბოროტის კბენითა,—
რა ვქნა, გავბრიყვდი, ვერ გიცან,
თუმც-კი გიცნობდი შორითა;
ბეჩავსა ვისღაც გამსგავსე
დონდლედ აგებულს ყორითა.
გაქებდნენ, კარგი ჰყოფილხარ
კარგი გქონია მარჯვენა,
ფიც-ვერცხლი ვსჭამოთ გოგოთურ,
ჩემნ იარაღნიც მამცენა.
მცხვენიან ამას რო ვამბობ,
მიძმე და მომეც აბჯარი,
თუ არა ბევრად მირჩევნავ,
რო გულში დამცე ხანჯარი.
—კი ყოფილაა ადვილი
სხვისად მიცემა აბჯრისა,
სხვის წელზედ სინჯვა თვალითა
თავის ხმლისა და ხანჯრისა?
კაცისად იარაღისა
აყრა სიკვდილთან სწორია.
ეხლა-ღა მოხვედ ჭკვაზედა,
ეხლა მაიეც გონია?
ხომ იცი საქართველოა
ყველა კუთხიდგან მტრიანი,
მგზავრს მიშვებ უიარაღოს,
კაცი არა ხარ ღვთიანი?
რას დასწრწი, რას დაეთრევი,
შე უნამუსოვ, ფაფხურა,
რო წისქვილებში მსუნაგი

სოფლის სკოლიდგან გამოსულმა ბავშვმა აღარ იცის ის, რაც ისწავლა. თუ კი იქ ცდილობენ, არ დაივიწყონ ყმაწვილებმა, რაც უსწავლიათ და ეცდონ კიდევ წარმატებას, ჩვენ რაღა ღმერთი გვიწყრს, რომ ჩვენც ამ გვარად მოვიქცეთ. უამისოდ ჩვენში საქმე არ გაკეთდება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენის სასოფლო სკოლის შეგირდები სწავლის დროსაც მოკლებულნი არიან ქართულ წიგნებსა, სწავლის დასრულების შემდეგ ბავშვს სრულებით არა აქვს შემთხვევა ქართულ წიგნში ჩაიხედოს. მთელი სოფელი რო შესძრა ზოგიერთა ადგილას, წიგნის ნახვასაც ვერ იშოვნი! რა ჰქმნას აქ ბავშვმა. თვით-განვითარებასა და თვით-აღორძინებას თავი დავანებოთ, წერა-კითხვაც ავიწყდებათ და!! ხალხში უნდა გავიდეს ჩვენი მწერლების ნაწერები. როგორ და რა რიგად უნდა მოთავსდეს ეს საქმე, ან რა მნიშვნელობა აქვს ამ საქმეს, ვეცდები დალაგებით გარდმოგცეთ. ჩვენ არა გვაქვს სახსარი კოროფესებური სკოლები დავაწესოთ ჩვენში და, სწორე გითხრათ, არც მაინცა და მაინც სახარბიელოა ამ გვარი სკოლები. ორი საშუალებაა აქ. უნდა ერთი ან რამდენიმე კაცი გამოვიდეს, გარდავცეთ იმათ წიგნები და ატარონ სოფლიდამ სოფლამდის გასასყიდად. ამ გვარი წესი რუსეთშია დიდი ხანია შემოღებულია და სასურველი ნაყოფიც მოაქვს. რამდენია ჩვენში, რომ თვეში თითო თუმნიან ადგილს ეძებენ. ის არა სცდებიან, რომ ამ გვარად თავიც ირჩინონ და საზოგადო საქმეც აკეთონ.

არ შეიძლება ამ საქმეს პირველად ზოგი-რა დამაბრკოლებელი მიზეზი არ გადაეღობოს, მაგრამ რაკი ერთი ჩადგება საქმე კალაპოტში, მერე წავა და წავა.

მეორე საშუალება ესაა: ყველა სოფლის მასწავლებელს გარდაეცეს წიგნები, რომ მან ჰყიდოს თავის ახლო-მახლო სოფლებში და ანგარიში აძლიოს, საცა რიგი იქნება. თუ ასე არ მოიქცა საზოგადოება, ყოველივე სიხარული სკოლების გამრავლების გამო ფუჭი იქნება. ამ გვარად წიგნების გავრცელება ერთსა და იმავე დროს სამ საქმეს გაგვიკეთებს: 1) ქართულ წიგნებს გაუხსნება ბაზარი, ამითი ავტორებსაც და გამომცემლებსაც ხალისი მიეცემათ საქმეს მაგრა ჩაავლონ ხელი; 2) სასოფლო სკოლის ბავშვებს ეძლევათ ღონის-ძიება კვლავ მიეტანონ სწავლასა და არ დაივიწყონ, თუ იციან რამე; 3) ხალხი გაიგებს გამოს ჩვენის საუკეთესო მწერლების ნაწერებისას, გაიცნობს ორბელიანს, ბარათაშვილს, გურამიშვილს, ერისთს, მეორეს, მესამეს და ამით აღიზრდება და ხალხისა და ქვეყნის საქმეც ნელ-ნელა წინ წავა.

ბათუმელი

—

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბისმარკმა იმდენი აწუწა ქვეყანა, რომ დღეს აღარა სჯერათ-რა იმისი; იმის მომხრეობასაც-კი უფრთხიან და ერიდებიან. უთუოდ დაფარული რამ განზრახვა აქვს, თორემ ჩვენ ქომაგს არ დაგვიწყობს და ტკბილად არ დაგველაპარაკება, ასე ამბობენ შეშინებულები.

რუსეთის გაზეთებიც მიუხვდნენ ბისმარკს ცბიერობას და ღირსეულად დაათვალიერეს იმისი პოლიტიკა. ამ გაზეთებს არა სჯერათ, ვითომ ბისმარკი იმიტომ ემხრობა რუსეთს ბოლგარიის საქმის გამო, რომ კეთილი განზრახვა ჰქონდეს.

თუ მართლა გერმანიას ჩვენთვის სიკეთე ჰსურდაო,—ამბობს გაზ. „Новости“, ამ ორის წლის წინად სად იყო, როცა ბოლგარიის საქმე ასტყდა. მაშინ რომ გერმანია ჩვენ მოგვმხრობოდა, ბოლგარიის საქმე ადვილად გადაწყდებოდა. ამ ორის წლის განმავლობაში გერმანია ისე იქცეოდა, რომ დღეს აღარა გვჯერა-რა იმისი. უთუოდ ჩვენის სიკეთით არ მოსდის, რომ ეს სახელმწიფო დღეს ბოლგარიის საქმეში ერევა და შუამავლობასა კისრულობს დიდთა სახელმწიფოთა შორის.

ან ეს რად გვინდაო? კითხულობს გაზეთი. ჯერ მაშინ გვავნებდა ხოლმე გერმანია, როცა სამთა იმპერატორთა კავშირი არსებობდა და დღეს, როცა ამ კავშირის ხსენებაც აღარ არის, რაღა დააბრკოლებს ბისმარკსაო. აი სწორედ ამაზეა ნათქვამი: გეშინოდეს დანაყლებისა მაშინაც-კი, როცა ძღვნით მოდიოდნენ შენთანაო.

**

რა წიგნები უნდა ვაკითხოთ ხალხსა, რომ წიგნის კითხვაზედაც წავახალისოთ და თვით ამ კითხვამაც სარგებლობა მოუტანოს. ამ საგანზე ბევრ გვარი ლაპარაკი იყო, ბევრ ნაირი აზრი გამოითქვა, დღეს კიდევ ლაპარაკობს ამ საგანზე გაზ. „Волжскій Вѣстникъ“-ი და სხვათა შორის აი რას ამბობს:

თითქმის ყველა საერო და სახალხო საკითხავად დაწერილის წიგნების შინაარსი ის არის, რომ აუხსნას ხალხს, როგორ უნდა მოიქცნენ და რა წესნი უნდა დაიცან ზნეობისა. თუ კითხვა იცის, გლეხი კითხულობს ყოველ გვარს წიგნს, როგორიც უნდა მისცე. კითხულობს იმიტომ, რომ წიგნის კითხვა გართობა ჰგონია და არა გულისა და გონებისათვის სასარგებლო საქმე. უამბეთ გლეხს, რომ ესა-და-ეს საქმე არვარგა, ესა-და-ეს საქციელი საზიზღარიაო და დაგიჯერებთ. მაგრამ ორიოდე დღე გაივლის თუ არა, კვლავ ჩაიდენს იმ საქმესაც, იმ საზიზღრობასაც. მაგრამ აბა უთხარით, რომ ამა-და-ამ საქმის ჩამდენს ციმბირში ჰგზავნიან-თქო, ამა-და-ამ საზიზღრობისათვის—სისხლის სამართალში მისცემენ კაცსა-თქო, და დამერწმუნეთ, რომ გლეხი შეიგნებს თქვენს სიტყვასა და არა თუ თავად მოერიდება უკანონო საქციელს, სხვასაც მოარიდებს და გააფრთხილებსო.

თუ კეთილის შინაარსის წიგნი ვერათვერს შეაგონებს გლეხს, თუ ზნეობასა და კაი კაცობაზე ლაპარაკს სარგებლობა არ შეუძლიან მოუტანოს, არა გვგონია, რომ ასეთი სამსახური გაუწიოს გლეხკაცობას ისეთმა წიგნებმა, რომელიც მხოლოდ იმაზე იქმნება დაწერილი, რომ აი ამა-და-ამ საქციელისათვის ასეთი და ასეთი სასჯელი მოგელისო.

—

# უცხოეთი

ინგლისი. ირლანდიაში განზრახვა აქვთ, დიდი მიტინგი შეჰყარონ, რათა მადლობა გამოუცხადონ გლადსტონს და იმის დასს. აი, ამ დღისათვის მოელიან არეულობას. ამიტომაც მთავრობა ყოველს ღონის-ძიებასა ხმარობს, რომ ხელი შეუშალოს მიტინგს და კრება არ მოხდეს. ამ მიტინგზე უნდა დასწრებოდნენ ირლანდიელნი დეპუტატები პარლამენტში და აგრეთვე ზოგნი წევრნი რადიკალების დასისა. ქვედა პალატაში დილონმა განაცხადა, რომ მიტინგი მაინცა-და-მაინც შესდგება, თუმცა ხელიც რომ შეუშალონო. თუ ვინიცობაა რამე მოხდა, ამის მიზეზი ირლანდიის საქმეთა მინისტრი იქმნება, რომელსაც მიწათ-მფლობელთა მხარი უჭირავსო. მეორე ირლანდიელმა დეპუტატმა, კენწიმ, სთქვა, რომ იმის მიზეზი, თუ რისთვის ეწინააღმდეგება მთავრობა მიტინგისა, ცხადიაო: სალისბერის სამინისტროს არ უნდა, რომ პარლამენტის ინგლისელმა წევრებმა თანაგრძნობა გამოუცხადონ ირლანდიელებს მათს მშობელ მიწაზე. ირლანდიის საქმეთა მინისტრმა, ბალფურმა, განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში მთავრობა კანონიერად მოქმედებსო.

~~~

ბოლგარია. სოფიელი კორრესპონდენტი დეპეშით გაზეთს „Times“-ს აუწყებს შემდეგს: ბოლგარიის მმართველთ და განსაკუთრებით აფიცრებს გარდაუწყვეტიათ, რომ არას გზით არ შემოუშვან რომელთამე სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ბოლგარიაში. კორრესპონდენტის სიტყვით, რომლისამე წარმომადგენელის შემოსვლა დიდს უსიამოვნებას გამოიწვევს და შეიძლება ბოლგარებმა თოფ-იარაღსაც ხელი მოჰკიდონო. ოსმალეთისა სრულიად არ ეშინიანთ, რადგანაც, თუ მართლა ოსმალეთმა განიზრახა ბოლგარიის საქმეში ჩარევა, მაშინ სამაგიეროდ ბოლგარები ამბოხებას გამოიწვევენ მაკედონიაშიო.

—

# წვრილი ამბები

— გამოჩენილი მიწის-ძვრის მიზეზთა გამომკვლევი რუდოლფ ფალბი, რომელიც იმ აზრისაა, რომ მიწის-ძვრა სავსე მთვარის გავლენით მოხდება ხოლმე, ახლა უფრო მტკიცედ დამდგარა ამ აზრზედ. ფალბი წინასწარ-მეტყველობს თურმე ახლა, რომ 5(17-ს) სექტემბერს დიდი მიწისძვრა იქმნება, 21 სექტემბერს (2-ს ოქტომბერს) უფრო სუსტი და 4 (16-ს) ოქტომბერს-კი მეტად ძლიერიო. ადრინდელი ნაწინასწარ-მეტყველევი რუდოლფ-ფალბისა სრულიად მართალი გამოდგა.

— ინგლისის საკომერციო კომიტეტმა გამოაცხადა სტატისტიური ცნობები რკინის გზების მოქმედებისა ინგლისში 1886 წელს. მთელს ინგლისში 725.584,390 კაცს უვლია რკინის-გზით, წინა წელზე 28.371,380 კაცით მეტს. რკინის გზის მსხვერპლი გამხდარა 938 კაცი, რომელნიც ქვეშ მოჰყოლიან და დასოცილან. დაჭრილთა რიცხვი 3,539-მდე იქმნება. ყველაზედ მეტად დაზიანებულან რკინის-გზის მსახურნი; ამათში 425 კაცი მოკლულია და 2,010 დაჭრილი. მატარებელთა ერთმანერთზე შეჯახების გამო მხოლოდ 8 კაცი მომკვდარა და 615 დაჭრილა. 87 მგზავრი მომკვდარა და 725 დაჭრილა თავიანთისავე გაუფრთხილებლობის გამო, თუ დავუჯერებთ რკინის გზის მმართველებს. ლიანდაგზე გავლის დროს 205 ქვეშ მოჰყოლია მატარებელს და 25 დაჭრილა. 80 თვითმკვლელნი თვითონვე მოჰქცევიან ქვეშ მატარებელს. საერთოდ, მგზავრნი ძალიან მადლიერნი უნდა იყვნენ რკინის გზის გამგეობისა: ერთი მოკლული 7.637,730 კაცზედ მოდის და ერთი დაჭრილი 540,674 მგზავრზედ.

— ვენაში ამას წინად ერთი ახირებული გლახა დაუჭერიათ. ეს გლახა ზორბა, 25 წლის კაცია, და გამვლელ-გამომვლელთ შემდეგის სიტყვებით მიჰმართავდა თურმე: „მაჩუქეთ რამე, კეთილნო კაცნო, ერთ ორიოდ გროშს ნუ დაიშურებთ გერმანიის საერო თეატრის სასარგებლოდ“. ეს კაცი პოლიციაში წაუყვანიათ, უკითხავთ და გამოუცხადებია: მე საკუთრივ სამოწყალო არა მჭირს-რა, ჩემი ერთად-ერთი ზრუნვა ის არის, რომ გერმანიის საერო თეატრს ხელი გავუმართო როგორმე, შემწეობა მივცე და იმიტომ მათხოვრობდიო. პოლიციის მოხელეთ ეს საბუთი მაინც არ შეუწყნარე-

---

ქურდი, ქოფაკი, შავ-ყურა?
გშიოდა, რატუ არ მითხარ,
გაჭმევდი, გაგაძღებდია,
იარაღს როგორა მყრიდი,
ღმერთი ar არის შენშია?
თუ არა, რაად გინდარის
ვერცხლი ნადები ქევერშია?
თუ მაინც გიყვარს ხმლის ქნევა,
ქროლვა, ქორებულ ტევება,
მე სამ გამამყევ, გაჩვენო
მტერი საქლეტად ვეება;
დაგეცეს მარტოს ათასი,
გცემდენ, მოგიგდონ შუაში,
მაჯა დნებოდეს შრომითა,
ხმალი ტყდებოდეს ყუაში.
გასძელ, სხვა ხმალი იშოვე,
მტერი დააფრთხე თხებურა,
მარტომ მისდიე მრავალსა,
პირ-ოფლიანმა მგლებურა,
მაშინის ვიტყვი ღირსი ხარ
წელზე ხმლის, თავზე ქუდისა;
არად გეხუროს ჩიქილა
თავზე დიაცის ცუდისა!
შენ გიაარცვია ვინაცა,
საბრალო არი, ბეჩავი,
თეის დღეში ომ-უნახველი,
დიაცთ ნალახის მჭვეტავი;
არ შაგხვედრია შავ-ფერა,
მკლავ-მსხვილი, რკინის მკვნეტავი.
მე შენ იარაღნ რად მინდან
სიმრუდის გზაზე ნავალი,
შინაცა აქვის გოგოთურს
ფარი და ხმალი მრავალი.
აჰა აბჯარნი, ცხენიცა,
წადი, მშვიდობით ელიდია,
სადაც შენი სთქვა ბიჭობა,
იქავე ჩემი სთქვიდია.
გარისხებ ხახმატის ჯვრითა,
აი კოპალაც ეს არი,
რო ყველა სიმართლითა სთქვა,
რაც რო დაგედვა ბეგარი...
თანაც გაუხსნა ხელები
წამააყენა მხედარი.
ადგა ბეჩავი აფშინა
თვალ-მოცრემლილი, ლურჯია.
— მეგონა თავი, ამბობდა,
გაუტეხელი ბურჯია;
ეხლა სჯობ სახჩი ვიმალო,
თავზე დაეირტყა გურჩია.
მოდი გაკოცო, გოგოთურ,
სიკეთისათვის შუბლჩია.
ხელი მაჰხვიეს ერთმანერთს
გულ-ახდით, არა-ძალადა;
აფშინას ხურჯინშიითა
ტიკჭორა მააქვ ჩქარადა,
მიიპატიჟა გოგოთურ,
დასხდენ ვაჟკაცნი ხის ძირა;
აფშინამ ყანწი აავსო
და ილოცება წინ-წინა:
— სანამ იცოცხლე, გოგოთურ,
სანამ ცასა სდის ნამია,
სანამ მზე ათბობს ქვეყანას,
დილა-საღამოს ჟამია;
სანამ ტყეს ესხმის ფოთოლი,
მიწა ამცენებს მწვანილსა,
სანამ ჯინჭველა ქალაქით
ზურგით მაიტანს მარილსა;
მოგწიოს ლაშარის ჯვარმა
მუდამაც გულის წადილსა!
ახლა გოგოთურმ დალოცა:
— გწყალობდეს, ძმისავ, ხატია,
შენც ჯანიანი ჰყოფილხარ,
როგორც წელანა გცადია.
ღმერთმა გაშოროს ბოროტი,
ავ-საქმე, ავი წადილი,
ნუ მოგვიშალოს უფალმა
ძმობა და ერთად სადილი!
აფშინამ ხანჯრის ბუნისა
ვერცხლი არაყში ჩათალა,
ორთავ დალიეს ერთადა,
ორივემ ყანწი დაცალა.
იფიცნეს. ეხლა ძმანია,
ვით ერთის დედის შვილები...
ახლა უმღერეს ზედაცა
ერთ-ურთს სამღერი ტკბილები,
მემრე წავიდნენ ცალ-ცალკე
თავ-თავის გზაზე გმირები.

IV

უკუნეთია. არ ისმის
კრინტი არსიდგან არ-რისა.
სუდარ-ჩაცმულნი მთანი დგან,
ფიქრის მზიდველნი მწარისა,
სუ მუდამ ყინულიანნი,
არ-როს მნახველნი მწვანისა;
ცხადად ჩრჩევა საჯიხვე
ქმნილი კლდისაგან სალისა.
ჩქაფუნი მოდის მწყრომარე
იმ ხევსურეთის წყალისა,
და განაპირად სოფლისა
ისმის რაკუნი კარისა;
თან ხმაც გაისმა მწყრომარე
გადმონადენი ჯავრისა:
— გაგიწყრეს ჩემი გამჩენი,
მადლი ხახმატის ჯვარისა,
რა დროს ძილია, ბედ-მწარევ,
შე უდაველათოს გვარისა?!
აფშინას ვერ შაეწონევი,
როგორც მზეს შუქი მთვარისა.
აჰა, წაიხვენ აბჯარნი,
ცხენს ნუ დაუყრი თივასა;
ვინც ხვალ პირველად მოიდეს,
ყველა ეს მიეც იმასა,
ჩემ ცხენიც იმასა ჰყვანდეს,
ფასს არ ესთხოვ, არცა ქირასა.
ხო გესმის რას გეუბნები,
თავს რასა ჰკიდებ ძირასა!?
მე კარჩი ველარ გამოვალ
ძმად უნდა ვყვანდე ჯინასა,
პირი შამყრია უწამლო,
კაცს ხევსურთ ბადალს, წინასა.
აგერ სამი თვეე სრულდება,
არა სცილდება ბინასა,
ლოგინად ჩავარდნილია,
უნდება კვნესას, გმინვასა.
მალა და ველარ დამალა
აფშინამ წყლული გულისა,
არ ეთქვა, აღარ შაეძლო
ვაჟკაცს მობრუნვა სულისა.
ცხენი აბჯარნი სხვას მისცა,
გახდა ერთგული რჯულისა.

V

მოგროვილიყვნენ ხახმატსა
ხევსურთ ვაჟები ხმლიანნი,
სალუდი კარზედ მოჩანან
მინდი,[6] მამუკა[7] მტრიანნი;
ხირჩლაიც მოდგა ხატის კარს
ვაჟკაცი სახელიანი,
განს, მოშორებით დამდგარან
დიაცნი მანდილიანნი.
ლუდის სმა არი, ღრეობა,
ცხვრის თავები ჰყრავ ყორედა;
ხევის-ბრის დიდება ისმის,
აფშინა არი სწორედა,
ხალხს ხატს ახვეწებს ტკბილის ხმით,
იწვევს მფარველად ქვეყნისა:
„მწყალობელ იყოს გიორგი,
ხალხო, ოჯახის თქვენისა;
მტერზედამც გაგემარჯვებათ,
სიკვდილს გაშოროსთ მწარესა,
გამარჯვებითამც გივლიათ
ყოვლგნივ ხმელეთის მხარესა?!“

—

ამბობენ: ქვითინი მოდის
ღამ-ღამ ბლოს თავით კაცისა:
„ვაჰ მკვდარო ვაჟკაცობაო,
ცოცხლად დამარხვავ თავისა!!“

ვაჟა-ფშაველა

[6]) სახელია კაცისა
[7]) სახელია კაცისა
~~~

ზიათ და ასირებული თეატრის თაყვანის-მცემელი დაუზატიმრებიათ.

— ბერნში ამას წინად ჩვიდმეტი კაცი გაუსამართლებიათ და სხვა-და-სხვა სასჯელი განუწესებიათ მათთვის ზნეობისა და გარყვნილებისათვის.

## გასართობი

კარგია იქ ცხოვრება, სადაც საზოგადოება იმდენად მომზადებულია, რომ მრუდე ხელის ადამიანს, ავაზაკობის ჩამდენს თვითონვე სჯის მართლ-მსაჯულების გარეშად, ზიზღით შეჰყურებს და ახლოს არ იკარებს. ამისთანა საზოგადოებაში მცხოვრებელი ადამიანი უფრო ფრთხილად იქცევა, სცდილობს თავისი კაცური მოვალეობანი რიგიანად დაიცვას, ზნეობრივ რაიმე მწიკვლი არ მიიცხოს, თავის ტოლსა და სწორში გასაკიცხავი და თითით საჩვენებელი არ გახდეს. ამისთანა ხალხში არც სიმდიდრესა და არც დიდს შეძლებასა აქვს ადამიანისას მნიშვნელობა, არც დიდ-კაცობას, არც წარჩინებულობას: დიდი თუ პატარა, ყველა იმის ცდაში უნდა იყოს, რომ პატიოსნად მოქმედებდეს, პატიოსნად იქცეოდეს, თუ ხალხში გამოკლება არ უნდა. რა თქმა უნდა, სადაც საზოგადოება იმდენად მომზადებულია, რომ ავ-ზნე ადამიანს თითონვე სჯის თავის ზიზღით, იქ შედარებით ბოროტ-მოქმედნიც ცოტანი გამოჩნდებიან ხოლმე. მაგრამ იქ-კი, სადაც ქურდობით გამდიდრებული პირველ კაცად ითვლება, ყველანი მძიმედ ქუდს უხდიან და ზიზღის მაგიერ პატივის-ცემით ეპყრობიან, იქ ყველა რაც შეიძლება ჩქარა გამდიდრებასა ცდილობს, ქურდობით იქნება, თუ ავაზაკობით და კაცის-მკვლელობით, ამას არ დაეძებს, სულ ერთია, ოღონდ გამდიდრდეს-კი ჩქარა, რომ თავის მხეცური სურვილიც დაიკმაყოფილოს და ხალხის მიერაც პატივცემული და თაყვანებული შეიქმნეს. ამისთანა საზოგადოებაში პატიოსანს კაცს ადგილი არა აქვს და ბევრიც რომ უნდოდეს პატიოსნად ცხოვრება, ვერ შეიძლებს ამ გვარს მდგომარეობაში ჩაყენებული. ეს ფიქრები ჩვენის მხრივ გამოიწვია შემდეგმა მცირე, მაგრამ დიდის მნიშვნელობის ამბავმა:

ამას წინად ნოვის, იტალიაში, სასამართლოში გაურჩევიათ დახლიდრის მარტელლის საქმე, რომელსაც 50,000 მან. მოპარვა ჰბრალდებოდა თურმე. ნაფიც მსაჯულთ გამართლებიათ ბრალდებული, თუმცა თითონვე ულიარებია, რომ მე ავიღე ზემოხსენებული ფულიო. სასამართლოში მყოფ საზოგადოებას ძალიან სწყენია ავაზაკის გამართლება და მოსამართლეებს მისცვივნიან დასასჯელად. თუ ჟანდარმები არა ყოფილიყვნენ, ბრალდებულსაც და მსაჯულთაც ცუდს დღეს დააყენებდნენ თურმე სამართლიანად გულ-მოსული ხალხი. შემდეგ ქუჩაში თავი მოუყრია ხალხს და ემუქრებოდა თურმე ბრალ-აყრილს დამნაშავეს. მარტელლს მთელი ღამე სასამართლოში გაუტარებია ჟანდარმების მეთვალ-ყურეობის ქვეშ, რადგან ხალხი სასამართლოს კარებს არ მოჰშორებია.

**

მაგრამ მგონი ამისთანა ამბავი ვერაფრად მოეწონოთ მკითხველებს. იმათის აზრით, გასართობი ამბავი მხოლოდ ის არის, რაც გააცინებს, პირზე ღიმს შეუთამაშებს და გულიდგან დარდს გადაჰყრის. რა გაეწყობა, ჩვენც ვეცადოთ და მკითხველის გემოვნებისამებრ მოვიქცეთ, თუმცა იმის ზემოხსენებულს აზრს-კი არ ვეთანხმებით.

ბერლინის გაზეთები შემდეგს სასაცილო ამბავს გადმოგვცემენ ერთს ექიმზე. ამ ექიმს ბერლინს ახლო მშვენიერი მამული აქვს, ამ მამულში აცხოვრებს თავის ოჯახს ზაფხულში და თითონ-კი კვირაში ერთხელ მივა ხოლმე. სოფლის ხალხმა იცის, რომ ექიმი კვირა დღეობით მოდის აქაო და დიდ-ძალი ავადმყოფი მიაწყდება ხოლმე. ერთს კვირა დღეს ექიმმა ავადმყოფები გაისტუმრა და რაღაც საჭირო წერილების წერას ჩაუჯდა. ამ დროს ექიმთან შევიდა ორი კაცი, შეხედა ექიმმა და ერთი მათგანი იცნო, რადგან ადრეცა სწამლობდა თურმე გულის ავადმყოფობას. ექიმმა თავი არ აიღო თურმე სტოლიდგან და დაიძახა:

— ტანისამოსი გაიხადეთო.

გასინჯა გულით ავადმყოფი და გაისტუმრა. და მერე-კი ისევ წერილს ჩაუჯდა. რამდენისამე ხნის შემდეგ აიხედა და ნახა, რომ ვიღაც კაცი დგას იმის ოთახში ტიტველა და სიცივით ბაბანებს.

— განა თქვენც გულით ავადმყოფობთ?— ჰკითხა ექიმმა.

— ოჰ არა, ბ-ნო ექიმო, მე გავიგე, რომ მეჯინიბეს ეძებთ და გიახელით თქვენთან მოჯამაგირედ დასადგომად.

ექიმმა შეხედა თურმე გაოცებით; შემდეგ ხმა-მაღლა გადიხარხარა და უთხრა:

— მაშ კარგი, თუ აგრეთი გამგონე ხარ, დამიქირიხარ მეჯინიბედ. ტანისამოსი ჩაიცვი და წადი ჩემს სამზარეულოში.

## დეპეშა

31 აგვისტო

პარიჟი. პორტა თანხმდება რუსეთის წინადადებაზე ბოლგარიის საქმის გამო. ამ წინადადების შინაარსს იგივე პორტა შეატყობინებს ინგლისს, იტალიას და ავსტრიას. გერმანიაც მოემხრა ამ წინადადებასა.

ტეძე-ტერეზეზ (ვენგრიაში). გუშინ აქ სადღესასწაულო სადილზე ავსტრიის იმპერატორმა დალია სადღეგრძელო რუსეთის იმპერატორისა, რადგან გუშინ სახელ-წოდების დღე იყო რუსეთის იმპერატორისა.

ლონდონი. ავღანის ემირი მძიმე ავადმყოფია. ეიუბ-ხანი ამ ჟამად კილაი-საღირეშია.

ბაბელსბერგი. დღეს, ნაშუადღევის 1 საათსა და 15 წუთზედ, იმპერატორი და იმპერატრიცა გერმანიისა, პრინცი ვილჰელმი, მისი მეუღლე და პრინცი ლეოპოლდი წავიდნენ შტეტინს.

1 სექტემბერი

პეტერბურგი. უმთავრესი მოგებანი დღევანდელის ტირაჟისა:

| №№ ბილეთ. | № სერიისა | ჯამი მოგებისა. |
|---|---|---|
| 24 | 12184 | 200000 |
| 50 | 10986 | 75000 |
| 38 | 16811 | 45000 |
| 9 | 4827 | 25000 |
| 36 | 1895 | 10000 |
| 44 | 15904 | 10000 |
| 46 | 2638 | 10000 |
| 6 | 17088 | 8000 |
| 31 | 19330 | 8000 |
| 36 | 4131 | 8000 |
| 35 | 5534 | 8000 |
| 19 | 14542 | 8000 |
| 35 | 10149 | 5000 |
| 46 | 17280 | 6000 |
| 50 | 17704 | 5000 |
| 37 | 871 | 5000 |
| 32 | 292 | 5000 |
| 13 | 15883 | 5000 |
| 38 | 8098 | 5000 |
| 26 | 13261 | 5000 |
| 44 | 12114 | 1000 |
| 45 | 13909 | 1000 |
| 4 | 14439 | 1000 |
| 1 | 875 | 1000 |
| 24 | 16769 | 1000 |
| 26 | 19249 | 1000 |
| 6 | 8837 | 1000 |
| 4 | 8018 | 1000 |
| 42 | 5821 | 1000 |
| 49 | 267 | 1000 |
| 37 | 16016 | 1000 |
| 27 | 17677 | 1000 |
| 7 | 15861 | 1000 |
| 35 | 11361 | 1000 |
| 45 | 1060 | 1000 |
| 13 | 14745 | 1000 |
| 5 | 10725 | 1000 |
| 43 | 14871 | 1000 |
| 35 | 19420 | 1000 |
| 26 | 10191 | 1000 |

### პეტერბურგის ბირჟა, 28-ს აგვისტოს ფასები:

| | მყიდველებისა | გამყიდველებისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 19 |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | 178 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — » | — » | 1 31 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 275 | — » | — » |
| — მეორისა | — » | — » | 256 |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა | 99¼ | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა | 99¼ | — » | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 83¾ | — » | — » |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

სექტემბერი 30 დღით არის.

2 დღე ოთხშაბათი. მოწ. მამანტესი და თეოდორესი. კათოლ. სტეფანესი და ფილადელფიისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-27 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 5—36, ჩადის 6—12. მთვარე 27 დღისაა.

3 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწ. ანთიმისა და თეოფილესი. კათოლ. სერაპიასი და ბრონესლავისა. სომეხ. წმ. იოანე წინამორბედისა და იობ მართლისა. მუსულ. მე-28 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—55. ტფილისში მზე ამოდის 5—40, ჩადის 6—10. მთვარე 28 დღისაა.

4 დღე პარასკევი. მოწ. ბაბილასი, მოსე წინ.-მეტყ. კათოლ. როზალიასი და ნუმიდიასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54. ტფილისში მზე ამოდის 5—12, ჩადის 6—8. მთვარე 29 დღისაა.

5 დღე შაბათი. წინ.-მეტყ. ზაქარიასი, წმ. ელისაბედისა და ქალწ.-მოწ. რაისასი. კათოლ. ლავრენტისა და ვიქტორინასი. სომეხ. ნიკიის წმ. კრების 318 მამა-მთავართა. მუსულ. მე-30 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ირაკლიმ ლაქირავებულის ჯარით სრულიად დაამარცხა აჯი-ჩელების შვილი, 1752 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54, ტფილისში მზე ამოდის 5—42, ჩადის 6—7. დაბადება მთვარისა საღამოს 5 საათსა და 3 წუთზედ.

6 დღე კვირა. მთავარ-ანგელოზ მიქაელისა. კათოლ. ზაქარიასი, ევგენიასი დი იუსტინიანისა. სომეხ. აღების-ღამე სურბხაჩისა (წმინდა ჯვარისა). მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა მაღარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა. ახალის 1305 წ. ჰიჯრის დასაწყისი.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54. ტფილისში მზე ამოდის 5—43. ჩადის 6—5. მთვარე 2 დღისაა.

7 დღე ორშაბათი. მოწ. სოზონტისა. კათოლ. რეგინასი და თეოფილესი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-2 რიცხვი თთვისა მაღარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 5—44, ჩადის 6—3. მთვარე 3 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | » |
| » 2 » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | 4 | » |
| მე-3 — | » | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |
| სუკი | 13 | » |
| ცხვრის ხორცი | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | » |
| » 2 » | » | » |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აქ არი ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის ხანავოსნო საზოგადოების საგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

ტფილისის საქალაქო გამგეობისაგან.

ტფილისის საქალაქო გამგეობა სთხოვს ტრაქტირებისა, საჭმელ სასმელის დუქნებისა და მგზავრთა დასაბინავებელის სადგურების პატრონებს მობრძანდნენ გამგეობის კანცელარიაში, ქალაქ ტფილისში, სექტემბრის 6-ს, დილის 10 საათზე. შემდეგის ოთხის წლისათვის უნდა მოწვეულთ ამოირჩიონ დეპუტატები თანხმად 22 და 56 მუხლთა სავაჭრო დაწესებულებათა დებულებისა, გასანაწილებლად ორთა შუა რაოდენობის აქციზისა. (3—2)

დ-რი რეიხი პირველ სექტემბრიდგან კვლავ მიიღებს თვალის ტკივილ.ით ავადმყოფებს

ყოველ-დღე დილით არსენალის ქუჩაზედ, № 17. 3—1

ისყიდება

დუშეთის მაზრის სოფელ მჭადიჯვარში: ძველი ღვინო, ხორბალი, ქერი, თივა, ბზე და ღორი. (10—10)

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ილილა და დამანა. ვახტანგ მეფისა | 3 | » |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა | » | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა | 1 | » |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა | 1 | » |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა | » | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | » | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | » | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა. | » | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა | » | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. | » | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა | » | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. | » | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | » | 1 |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | » | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. | » | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | » | 25 |
| განკიცხული, მოხხუბარიძისა | » | 50 |
| ციკო, მისივე. | » | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა | » | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა | » | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. | » | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე. | » | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. | » | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. | » | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. | » | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. | » | 1 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. | » | 15 |
| ზაფხული, ჯუღელის რედაქციით. | » | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა | » | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | » | 5 |
| არსენას ლექსი | » | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. | » | 15 |
| ქართული ანდაზები. | » | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭავჭავაძისა | » | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა | » | 5 |
| ალი, ნ. ლომოურისა | » | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. | » | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა | » | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა | » | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა | 1 | » |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. | » | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა | » | 30 |

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ქილაძის მაღაზიაში

ორი მოთხრობა

ს. მგალობლიშვილისა

I მცვრევაზე

II დიდ ზალაში

ფასი ორი შაური.

ТИПОГРАФІЯ „КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“ (Н. И. ФРЕНКЕЛЬ)

Переведена на Головинскій Проспектъ, противъ Аптеки Гене, въ д. Шабурова. Принимаетъ всевозможныя типографскія работы на русскомъ, туземныхъ и иностранныхъ языкахъ. Исполненіе скорое и аккуратное. Цѣны умѣренныя.

Доз. цен. Тиф. 1 сентяря. 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) на Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე